

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს კონკურსს ვერცხლის სამახსოვრო მონეტების დიზაინის ესკიზისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკი ახალ სამახსოვრო მონეტებს მოჭრის. მონეტების დიზაინის ესკიზის დასამზადებლად ეროვნული ბანკი აცხადებს კონკურსს, რომელშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება. კონკურსის თემებია:

თემატიკა	სერია	მონეტა	დიზაინის ესკიზის მოწოდების ბოლო ვადა
ქართული ხელოვნება	ქართული საშემსრულებლო ხელოვნება	ცეკვა „მთიულური“	2 მარტი
საქართველოს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა	საქართველო UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში	ქალაქ მცხეთის უძველესი ძეგლი „ჯვრის მონასტერი“	2 მარტი
თავისუფალი თემა	ეროვნული საგანძური	ილორის წმ. გიორგის ეკლესია აფხაზეთის ტერიტორიაზე (ოჩამჩირე)	2 თებერვალი
		საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების იუბილე (90 წელი)	2 მარტი
საქართველოს ფლორა და ფაუნა		„ქართული ნაგაზი“	2 მარტი

კონკურსის მონაწილეებმა დიზაინის ესკიზები უნდა შექმნან შემდეგი პირობების დაცვით:

ვერცხლის მონეტის დიზაინის ესკიზის (ავერსი-რევერსი) კომპოზიციები უნდა შეიქმნას შემდეგი სავალდებულო სიმბოლოებისა და წარწერების გამოყენებით: ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი „10“, შესაბამისი წარწერა „ლარი“, გამოშვების წელი – 2009, თემასთან დაკავშირებული გზავნილის (კომპოზიციის) დასახელება; წარწერა „საქართველო“ ქართულ ენაზე და საქართველოს სახელმწიფო ღერბი (იხ. ეროვნული ბანკის ვებგვერდზე). მონეტების წიბოები იქნება გლუვი და უნდა ჰქონდეთ წარწერები როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე – „საქართველოს ეროვნული ბანკი“ „National Bank of Georgia“.

კონკურსანტები თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში და აღნიშნული ელემენტები შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსონ მონეტის ავერსსა თუ რევერსზე.

დამატებითი პირობები

- ესკიზები უნდა შესრულდეს A4 (21 სმ X 29 სმ) ზომის ფორმატზე და მათი წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნახატის (ქაღალდზე ამოხეჭდილი), ასევე ელექტრონული ვერსიის (კომპიუტერში შესრულებული) სახით, როგორც საპრეზენტაციო, ისე მონეტის ორიგინალურ ზომასთან მიახლოებით (დაახლოებით, 30 მმ დიამეტრი). შესაძლებელია როგორც შავ-თეთრი, ასევე ფერადი ესკიზების წარმოდგენა.

თითოეულ გამოცხადებულ თემაზე მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს მაქსიმუმ 2 ესკიზი; ესკიზებს თან უნდა ერთვოდეს მონეტის აღწერილობის ტექსტი და დიზაინის შინაარსის განმარტება.

- ავტორმა საკონკურსო მასალა და პირადი რეკვიზიტები უნდა მოათავსოს ცალ-ცალკე, განსხვავებული ზომის დალუქულ, პირადი სიმბოლოთი ან დევიზით აღნიშნულ ორ კონვერტში, რომლებზეც არ უნდა იყოს მითითებული ავტორის ვინაობა. დიდი ზომის კონვერტში უნდა მოთავსდეს პირადი სიმბოლოთი ან დევიზით დამოწმებული ესკიზი, დიზაინის შინაარსის განმარტება და აღწერილობის ტექსტი, ხოლო მცირე ზომის კონვერტში – ავტორის პირადი რეკვიზიტები (აუცილებელია მითითებული იყოს სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი) და მის მიერ გამოყენებული სიმბოლო ან დევიზი (მაგ., ხელმოწერა). ორივე კონვერტი უნდა მოთავსდეს ერთ დიდ კონვერტში, დაილუქოს და მიეთითოს მისამართი და ადრესატი:

ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. N3/5

საქართველოს ეროვნულ ბანკს, საკონკურსოდ

კონფიდენციალური ინფორმაცია

- საკონკურსო მასალები კონკურსანტმა მითითებულ ვადაში პირადად ან ფოსტის საშუალებით უნდა ჩააბაროს საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის განყოფილებას – საშვთა ბიუროს, მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0105, ლეონიძის ქ. N3/5.

- საქართველოს ეროვნული ბანკის დიზაინის ესკიზის შერჩევის კომისია საკონკურსო მასალებს შეაფასებს დახურული წესით (ნამუშევრების ავტორთა ვინაობა უცნობია ჟიურის წევრთათვის).
- გამარჯვებული ესკიზების დიზაინი ეროვნული ბანკის საკუთრებაა და არ უბრუნდება ავტორს. დამატებითი დეტალების განხილვა მოხდება უშუალოდ გამარჯვებული ესკიზების ავტორებთან.
- დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს შემდეგ ნომრებზე: (+99532) 442-321, 442-354, 442-347.

მონეტების ესკიზზე მუშაობისას კონკურსანტებს შეუძლიათ გაეცნონ სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების სამახსოვრო მონეტების დიზაინს შემდეგ ინტერნეტმისამართზე: <http://www.bis.org/cbanks.htm>

კონკურსში გამარჯვებული ესკიზისათვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 2 000 ლარის ოდენობით.